ნესტან სულავა

პოლემიკური ნაკადი XII-XIII საუკუნეების ძართულ ჰიმნოგრაფიაში

კულტურული სამყაროს გზაჯვარედინზე მდებარე თანამედროვე საქართველოს სულიერ ცხოვრებაში აქტუალურია პოლემიკა სხვა რელიგიებსა და ერეტიკულ მიმდინარეობებთან, განსაკუთრებით ამ უკანასკნელთან. დაისმის კითხვა, როგორი ვითარება იყო ისტორიულ წარსულში ამ თვალსაზრისით და აისახა თუ არა იგი საღვთისმეტყველო ლიტერატურაში? როგორც ცნობილია, საქართველოში, ისევე როგორც სხვა მრავალ ქრისტიანულ ქვეყანაში, ქრისტიანობას გამუდმებული ბრძოლა უხდებოდა სხვა რელიგიებთან, მწვალებლობებთან, რის საფუძველზეც ჩამოყალიბდა საღვთისმეტყველო ლიტერატურის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი დარგი – პოლემიკა. პოლემიკური ნაკადი საღვთისმეტყველო ლიტერატურის ყველა სფეროში შეინიშნება. ჩვენი სტატიის მიზანია ქართულ ჰიმნოგრაფიაში არსებული პოლემიკური თემის განხილვა და ინტერპრეტაცია, გარკვევა იმისა, თუ როგორია ისტორიული გამოცდილება, რა მიზნით აისახა იგი და რა ადგილი დაიკავა ქართულ საგალობლებში. პრობლემა თანაბრად საინტერესოა განსხვავებული რელიგიებისა და ცივილიზაციებისათვის. ამჟამად, გლობალიზაციისა და ქვეყანათა ურთიერთდაახლოების დაჩქარებული პროცესების ფონზე, იგი მხოლოდ ერთი ქვეყნის, ერთი რელიგიის პრობლემა აღარაა. ამიტომაც გვესახება აქტუალურად პოლემიკური ნაკადის განხილვა საგალობლებში, რადგან მრეველი ტაძარში ისმენდა საგალობელს, რომლის ტექსტი ზემოქმედებას ახდენდა მის აღმქმელზე. აქედან გამომდინარე, საგალობელს ეკის-

რებოდა საგანმანათლებლო და აღმზრდელობითი ფუნქცია.

ქართულმა ჰიმნოგრაფიამ, სხვა საღვთისმეტყველო ჟანრების მსგავსად, ასახა ის პოლემიკა, რომელიც მიმდინარეობდა ქრისტიანული რელიგიის დამკვიდრების სხვადასხვა ეტაპზე, და გამოიყენა ის გამოცდილება, რაც დაგროვდა საუკუნეთა განმავლობაში საღვთისმეტყველო პოლემიკურ ლიტერატურაში. ასე, რომ ჰიმნოგრაფიამ, სხვა საღვთისმეტყველო დარგების ცოდნასთან ერთად, გამოავლინა პოლემიკური ლიტერატურის ცოდნაც. ჰიმნოგრაფია იმთავითვე ორიენტირებული იყო მრევლის სულიერი და ზნეობრივი აღზრდისაკენ; ყოველი იმ ადამიანის გრძნობა და გონება, რომელიც ტაძარში მიდიოდა და მონაწილეობდა ლიტურგიაში, მიმართული იყო ღმერთისაკენ, რომელიც მას აღავსებდა ზეადამიანური თვისებებით, ადამიანის სულიერ-ზნეობრივ სამყაროს სრულყოფილს ხდიდა და ღმერთისაკენ მიმავალ გზას უადვილებდა, რის შემდეგაც თეოზისის შესაძლებლობა ეძლეოდა. ამისთვის აუცილებელი იყო დაძლევა იმ მწვალებლური მიმდინარეობებისა, რომლებიც დროდადრო ჩნდებოდა ქრისტიანული რელიგიის მქონე თუ მის მაძიებელ ქვეყნებში.

ისტორიულად ცნობილია, რომ საქართველოში მწვალებლობა იშვიათად თუ გამოვლენილა; თამამად შეიძლება ითქვას, აქ მას გასაქანი არ ჰქონია, რასაც ადასტურებს წმ. გიორგი მთაწმიდელის ნათქვამი ანტიოქიის პატრიარქთან: „და ვინაითგან ერთი ღმერთი გვიცნობიეს, არღარა უარგვიყოფიეს და არცა ოდეს წვალებისა მიმართ მიდრეკილ არს ნათესავი ჩუენი; და ყოველთა უვარის-მყოფელთა და მწვალებელთა შევაჩუენებთ და დავსწყევთ. ამას საფუძველსა ზედა მართლმადიდებლობისასა და მცნებათა და ქადაგებათა ზედა წმიდათა მათ მოციქულთასა მტკიცე ვართ“ (3, 122). სწორედ ამიტომ, ქრისტიანობის დამკვიდრების ადრეული პერიოდიდანვე იფარგმნა მრავალი ანტიმწვალებლური საღვთისმეტყველო შრომა, რომლებმაც თავიანთი ისტორიული მისია შეასრულეს.

ქართულმა ჰიმნოგრაფიამ ასახა პოლემიკური მოტივები, დაგმო და გაკიცხა ის პიროვნებები და მიმდინარეობე-

ბი, რომელთაც ეჭვქ�დააყენეს ქრისტიანული მოძღვრების ძირითადი დოგმები, დებულებები, შეხედულებები. ამ თვალსაზრისით მდიდარი აღმოჩნდა XII-XIII საუკუნეების ჰიმნოგრაფიული თხზულებები, რომლებშიც რამდენიმე ძირითადი მიმართულება გამოიკვეთა: ბრძოლა ქრისტიანობის გავრცელების ადრეული ეტაპის მწვალებლების, კერძოდ, მონოფიზიტობისა და ხატმებრძოლთა წინააღმდეგ. საქმე ეხებოდა როგორც მაცხოვრის ორბუნებოვნებას, ისე ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის ღვთის მშობლობას.

XII-XIII საუკუნეების ქართველ ჰიმნოგრაფთა მიერ ანტიმწვალებლური თემატიკის შეტანას საღვთისმეტყველო ლიტერატურის ერთ-ერთ კანონიკურ სფეროში, კერძოდ, საგალობლებში ქვეყნის პოლიტიკურმა მდგომარეობამ განაპირობა.

იოანე შაოელის „გალობანში ვარძიისა ღმრთისმშობლისანი" არეკლილია პოლემიკა ქრისტიანული დოგმატიკის საკითხებზე. იგი ამხელს და გმობს ღმერთისა და ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის შესახებ არსებულ დოგმატიკურ შეხედულებათა გამნაქიქებლებს. იოანე შავთელი საგალობელში აღნიშნავს ორიგენიზმის, არიოზობისა და ნესტორიანობის დამარცხებას:

„ოროგინესი შეიჩუენა სიცბილი,
ლმობაჲ ეწიენ დავრდომილთაჲ არიოზს,
აექცნ ენაჲ ნესტორს სასასა მისსა,
დადუმნა უღმრთოჲ და მოისპო კაცთაგან
წყევით
მკუდრეანისა მყოფთა ისწავეთ" (2, 303).

ცნობილია, რომ ადრეული პატრისტიკის წარმომადგენელი, თეოლოგი და ფილოსოფოსი ორიგენე ალექსანდრიელი ქრისტიანული დოგმატიკის დასასაბუთებლად იყენებდა სტოიკოსთა მიერ ინტერპრეტირებულ პლატონის მოძღვრებასა და ნეოპლატონიზმს, რის გამოც მისი მოძღვრება კამათისა და განქიქების საგანი გახდა. ალექსანდრიელმა ხუცესმა არიოზმა უარყო ქრისტიანული დოგმა მამა ღმერთისა და ძე ღმერთის ერთარსობისა და თანასწორობის შესახებ და გამოთქვა შეხედულება, რომ ქრისტე – ძე ღმერთი დასაბამიდან არ თანაარსებობდა მამა ღმერთთან

ერთად, იგი, ადამიანის მსგავსად, შემდეგში შექმნილად მიაჩნდა. ბრძოლა ორიგენიზმისა და არიანობის წინააღმდეგ საკმაოდ მწვავედ მიმდინარეობდა ხანგრძლივი დროის განმავლობაში, რადგან იგი, იდეოლოგიურთან ერთად, სოციალურ მოძრაობებსაც გადაეხლართა. მართალია, კონსტანტინოპოლელი პატრიარქის ნესტორის ქრისტოლოგიური დოქტრინა თითქოს ანტიოქიის თეოლოგიური სკოლის მოძღვრებას ემყარებოდა, მაგრამ მაინც ვერ ასცდა ერესს. მისი თვალსაზრისით, იესო ქრისტე არის მხოლოდ კაცი, მასში სულიწმიდის საშუალებით ჩასახლდა სიტყვა – ღმერთი (ლოგოსი), ამიტომ ყოვლადწმიდა ღვთისმშობელს უნდა ეწოდოს არა ღვთისმშობელი, არამედ ადამიანის მშობელი ან ქრისტეს მშობელი. წმ. კირილე ალექსანრიელის ბრძოლისა და აქტიური მცდელობის შედეგად ეფესოს მესამე მსოფლიო საეკლესიო კრებამ 431 წელს დაგმო ნესტორიანობა, რადგან მისმა მიმდევრებმა ვერ შეიცნეს ჭეშმარიტი აზრი. ამიტომ უწოდა იოანე შავთელმაც თავის საგალობელში ორიგენეს, არიოზსა და ნესტორს, მათ მიმდევრებს „მტერნი შობილისა და მშობელისანი". საგალობლის ის ტროპარი, რომელშიც ძე ღმერთისა და ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის შეუცნობლობაზეა საუბარი, კერძოდ:

„რომელმან და ვინ არა იცნას სიმართლე,
თქუა ჴმამაღალმან, ვერ-ყოს ჭეშმარიტებაჲ,
იგინი უკუე ქალწულისა შობასა
სიჩქურ ჰგონებდეს შეცდომილნი ამაოდ,
მტერნი
შობილისა და მშობელისანი" (2, 303),

ეხმიანება კორინთელთა მიმართ პავლეს პირველ ეპისტოლეში გამოთქმულ მოსაზრებას: „რამეთუ ვინაჲთგან სიბრძნითა მით ღმრთისაჲთა ვერ იცნა სოფელმან სიბრძნითა თჳსითა ღმერთი, ჯერ-იჩინა ღმერთმან ქადაგებითა მით სისულელისაჲთა ცხორებაჲ მორწმუნეთაჲ მათ" (I კორ. 1, 21). მოციქულ პავლეს ამ შეხედულებას ჰიმნოგრაფები ხშირად იყენებენ. ახალი აღთქმის მიხედვით, კაცობრიობას ღვთაებრივი სიბრძნე მოცემული ჰქონდა ბუნებაში. ადამიანი უნდა მისულიყო სამყაროს შემოქმედის შეცნო-

ბამდე, მაგრამ სოფლით გატაცებული ადამიანის გონებამ ვერ შეძლო მისი შეცნობა, რასაკვირველია, ვერც ყოვლად-წმიდა ღვთისმშობლისა. ამიტომაც არიან ისინი, იოანე შავთელის სიტყვით, „შეცდომილნი“.

იოანე შავთელის „გალობანი ვარძიისა ღმრთისმშობლისანი“ ბიბლიურ სახისმეტყველებას ეყრდნობა და იყენებს იმ ფრაზეოლოგიას, რომელიც ბიბლიური ტექსტების ძველ ქართულ თარგმანებში დასტურდება. განსაკუთრებულ სიახლოვეს ფსალმუნებთან ამჟღავნებს, მისი ლექსიკაა მისთვის დამახასიათებელი. საგალობლის სიტყვები: „აექუნ ენაჲ ნესტორს სასასა მისსა“, ფსალმუნთა მუხლების გამოხმაურებაა: „განკმა ვითარცა კეცი ძალი ჩემი და ენაჲ ჩემი სასასა ჩემსა აექუა და მიწად სიკუდილისა შთამჴადე მე“ (ფს. 21, 16); „აექუნ ენაჲ ჩემი სასასა ჩემსა, არათუ მოგიჴსენო შენდა არათუ პირველ განგებულ ვყო იერუსალემი, ვითარცა-იგი დასაბამსა მას სიხარულისა ჩემისასა“ (ფს. 136, 6). ჰიმნოგრაფიულ თხზულებათა პარალელების მოხმობა შორს წაგვიყვანს. უნდა აღინიშნოს, რომ ამ ფრაზას – „აექუნ ენაჲ სასასა მისსა“ – ჰიმნოგრაფები ძირითადად ქრისტიანული მრწამსის მგმობელთა სამხელად იყენებენ.

იოანე შავთელის მიერ ერეტიკოსთა ხსენება და დაგმობა უთუოდ დაკავშირებულია იმ დიდმნიშვნელოვან ბრძოლასთან, რომელიც ბასიანის, ანუ ქართველ ისტორიკოსთა ცნობით, ბოლოსციხის ომის სახელითაა ცნობილი. ქართველებმა სძლიეს რუქნადინს თავის მრავალრიცხოვან ლაშქართან ერთად, რაც საგალობელში ზოგადად საქრისტიანოს გამარჯვებადაა აღქმული. ჰიმნოგრაფის იდეოლოგიური თვალსაზრისი სავსებით გამჭვირვალე და ნათელია: როგორც ორიგენეს მცდარი აზრი იქნა მხილებული და უარყოფილი, არიოზს დავრდომილობის ლმობა ეწვია, ხოლო ნესტორს ენა სასაზედ აეკრა, ე. ი. დამარცხდა ერესი, მწვალებლობა, რადგან მისმა მიმდევრებმა ღვთაებრივი დოგმები ხელყვეს, ასევე ღვთისმშობლის ოხითა და შეწევნით დამარცხდნენ უცხო ტომის წარმომადგენლები, მოისრნენ აგარეანნი: „აწ განვისუენო დღისა მის წილ ჭირისა აღსლვასა ჩემსა და მრესახობისაგან ქალდეველთა მათ,

სპარსთა (ვარიანტ.: პართთა) და სომეხთასა, აგარის ტომთა ლეგეონი მოიშთვის წყლითა ოხათა შენთაჲთა, დიდებულო“ (2, 302).

ჯვარმა სძლია უსჯულოებას, რის შედეგადაც აღბორგებული ერი შეძრწუნდა და წმიდა ეკლესია ამაღლდა:

„შეედვა ძრწოლაჲ
ერსა აღბორგებულსა,
მოაკლდეს მათნი ცხოვარნი სამწყსოჲსაგან,
არა იცნა რაჲ ჯარმან ჯმაჲ, ვირმან ბაგაჲ.
ეკლესიისაჲ
რქაჲ ამაღლდა და განავრცნა
თმოგჯსა შორის ტაძარი დედოფლისაჲ“ (2, 302-303).

იოანე შავთელმა საგალობელ'ში წარმოადგინა მართლმადიდებლური, ანტიმწვალებლური პოზიცია, რითაც ქართველებს კიდეე ერთხელ შთააგონა ქრისტიანული რელიგიის სიწმინდის დაცვისა და მასზე ზრუნვის აუცილებლობა.

არსენ ბულმაისიმისძის საგალობლებში, რომლებიც მაცხოვრის ხელთუქმნელ ხატს ეძღვნება, დაგმობილია მწვალებლური შეხედულებანი და ის პირები, რომლებიც მასთან იყო დაკავშირებული. უპირველეს ყოვლისა, უნდა დასახელდეს იუდას გამცემლობის გაკიცხვა საქართველოს კათალიკოსის არსენ ბულმაისისმისძის მიერ: „ნუმცა ვინ არს იუდაებრ პირითა ურცხვინო, სულითა გლისპ და გულარძნილ, რამეთუ საზარელისა ამის საიდუმლოჲსა მიერ ქრისტეს ხატისა წმიდისა ვითარ ღირსნი ეცხონდებით შეხებითა მისითა, კუალად უღირსნი, საუკუნოდ წარწყმდებიან“ (2, 324). ღვთისმგმობთა და მწვალებელთა ამგვარად მოხსენიებას საფუძველი დაედო სწორედ იუდას კიცხვითა და მხილებით, პირველი ხომ სწორედ იუდა იყო, ვინც მაცხოვარი უარყო და გასცა, რის გამოც ღვთისმგმობთა და მწვალებელთა წყევლა არცთუ იშვიათად გვხვდება ჰიმნოგრაფიაში.

ისეთი ღვთისმოსავი, განათლებული და დახვეწილი ლიტერატურული გემოვნების მქონე ჰიმნოგრაფი, როგორიცაა საქართველოს მწყემსმთავარი არსენ ბულმაისისმისძე, დაუნდობლად ამხელს და კიცხავს მწვალებლებს: „არა-

მართლმადიდებლობით მიმხედველთა უხრწნელსა ხატსა შენსა ეწიენ ბუგრი განმხრწნელი, ნაწლევთა ლმობად, გარდაედევინ თუალთა ბნელი უნათლოჲ, ნათელო და სიტკბოებაო და მჴსნელო ჩემო ქრისტე ღმერთო“ (2, 320). უნდა აღინიშნოს, რომ ქართულ საღვთისმეტყველო მწერლობაში ხატმებრძოლობის თემა გაერცელებული არ ყოფილა, რადგან იგი საქართველოში არასოდეს ყოფილა, შესაბამისად, თემა ჩვენში აქტუალური არც იყო. მაგრამ მინიშნებები იყო, რადგან ქრისტიანობა ყველა ქვეყანაში ერთნაირად იბრძოდა ერესთა წინააღმდეგ.

არსენის საგალობლებში ხატმბრძოლობის წინააღმდეგ ბრძოლის ანარეკლი შეინიშნება, რადგან იგი მაცხოვრის ხელთუქმნელ ხატს ეძღვნება. ასევეა ეს თემა არეკლილი არსენის წინამორბედი ჰიმნოგრაფის იოანე ანჩელის „გალობანში ანჩისხატისანი“, სადაც ეკითხულობთ: „ესმოდენ ურწმუნოთა, რომელნი არა თაყუანისცემენ ხატსა ქრისტეს ღმრთისასა და ყოველთა წმიდათა მისთასა, იტყოდეს რაჲ ბასილი, ვითარმედ უკ'ეე პატივი ხატისა პირმ'ზოჲსა მის სახისად აღიწევის, რომელსა ჩუენ მორწმუნენი თაყუანის-ვსცემთ“ (2, 300). ოღონდ ჰიმნოგრაფის ეს სიტყვები მხოლოდ ზოგადი მინიშნება-მითითებაა, აქ კონკრეტული ფაქტები არაა წინ წამოწეული, კონკრეტულ ფაქტებზე ავტორი არ საუბრობს.

არსენ ბულმაისიმისძე თავის საგალობლებში ერეტიკოსთა წინააღმდეგ ბრძოლას წარმართავს სიტყვისა და მელოდიის საშუალებით, რაც ჰიმნოგრაფიისათვის არის დამახასიათებელი, რადგან საგალობლის ლიტურგიული ფუნქცია მრევლთან ურთიერთობას ისახავს მიზნად, ხოლო ლიტურგიის უმთავრესი მიზანი ღმერთის დიდება, მისკენ მიმავალი გზების ძიებაა. ჰიმნოგრაფი მიუთითებს ერეტიკოსთა გმობისა და გაკიცხვის აუცილებლობაზე: „ყოველთა მგმობართა მისთა შევაჩუენებთ და განვაქიქებთ“ (2, 312). საგალობელში მოტივირებულია ხორცშესხმული მაცხოვრის ხატის თაყვანისცემის აუცილებლობა: „არაჲ თუ სხუასა პირსა ქრისტესა ღმრთად ვიცნობთ, წარვედით ჩუენგან, ღმრთისმბრძოლნო, არამედ მასვე ერთსა, რომლითა თბე ჩუენი ჩუენგან მოიღო, საკუთრად ღმრთად ჴორ-

ცშესხმულად აღვიარებთ და წმიდასა ხატსა მისსა მის თანა თაყუანისვსცემთ“ (2, 314). „თბე ჩუენი“, ანუ ადამიანური სამოსელი –ხორციელი ბუნება, კაცობრიობის ცოდვას მიანიშნებს, რაც მთელ ტროპარს უდიდეს საღვთისმეტყველო დატვირთვას ანიჭებს, რადგან მაცხოვარმა მთელი კაცობრიობის ცოდვა იტვირთა ადამიანის სახის მიღებით და განწმინდა იგი ცოდვისაგან.

ჰიმნოგრაფი დაუსახელებლად, ზოგადად გმობს ხატმებრძოლებს და იმ ჰურიებს ადარებს, რომლებმაც ღმერთი ვერ იცნეს: „ღმროეებაჲ დაუსახველ არს, არამედ ჴორცთა არსებისა მას ხატსა გამოვხატავთ, ურწმუნონო, დამამჴობელნი თქუენნი ვითარ ბოროტად ღმრთისმბრძოლთანი, რომელთა ეგე აღიფრტჳნვეთ საზღუარი მამათაჲ ჰურიაებრ“ (2, 320). იგი მიმართავს მართლმორწმუნე მრევლს, რომ ჰურიათა მსგავსად კი არ დაგმონ ღვთის სიმდაბლე და ხატება, არამედ ღმრთივგონიერ ყრმებთან ერთად ოსანნა იდაღადონ. ყრმების ხსენებით მინიშნებულია სამი ყრმის გახურებულ ბრძმედში ჩაყრა ნაბუქოდონოსორის მიერ, რისთვისაც ჰიმნოგრაფმა სახეთა პარალელიზმის პრინციპი გამოიყენა და მთავარი სათქმელი მიაწოდა მსმენელსა თუ მკითხველს: „ნუ ჰურიაებრ ჰგმობ სიმდაბლესა, არამედ ყრმათა თანა ღმრთივგონიერთა ოსანნას ღაღადებდი, სამოსელთა წილ მიმფენი მართლაღსარებასა“ (2, 313). სამოსლის მიფენით ბზობის დღესასწაულია სიმბოლურად წარმოსახული.

არსენ ბულმაისიმისძე ასახელებს ერეტიკული შეხედულებების მიმდევარ კონკრეტულ პიროვნებებსაც და ყველა მორწმუნისაგან მოითხოვს მათს გმობას. მან შეაჩვენა მონოფიზიტური მოძრაობისა და მიმართულების სულისჩამდგმელები – ევტიქი და დიოსკორე, წყევლა-კრულვა შეუთვალა მათ: „მეხდატეხილ იქმენინ დიოსკორე ევტუქის თანა ბილწნი, რომელთა აზმნეს ღმრთად აღსაარებაჲ ხატთაჲ მართლმადიდებელთა მიერ, რომელი ესე ნუ იყოფინ, მ ქრისტე, გარნა თანა ჩუენ განგებულებისა შენისა ხატიცა შენი გურწამს“ (2, 318).

ევტიქი იყო კონსტანტინოპოლის ერთ-ერთი მონასტრის არქიმანდრიტი, რომელიც მონაწილეობდა მესამე

მსოფლიო საეკლესიო კრებაში; იგი აქ წმ. კირილე ალექსანდრიელის მომხრე და ნესტორის მოწინააღმდეგე ყოფილა; მაგრამ მისი თანამედროვენი და საეკლესიო კრებების ოქმები მას მოიხსენიებენ როგორც შერყეული მართლმადიდებლური რწმენის მქონეს, მესამე მსოფლიო საეკლესიო კრების შემდეგ უკვე გამოკვეთილ მონოფიზიტს. მას, საკმაოდ ხანდაზმულს, 70 წლის ასაკში, 448 წლის ადგილობრივ საეკლესიო კრებაზე კონსტანინოპოლში ბრალი დასდეს ერეტიკოსობაში. იგი საგანგებოდ მოიხმეს ამ კრებაზე, რომელზეც დაგვიანებით გამოცხადდა. მართალია, თავდაპირველად იგი წმ. კირილე ალექსანდრიელის შეხედულებებს იზიარებდა, მაგრამ ცალმხრივად წარმოაჩენდა საქმის არსს, ამბობდა, თითქოს კირილეს თხზულებებში ქრისტეს ორი ბუნების შესახებ არაფერი იყო ნათქვამი. მას ალექსანდრიელი წინამძღვრის სიტყვები კონტექსტიდან ამოგლეჯილად მოჰქონდა, რის გამოც მოძღვრება ერეტიკულ ხასიათს იძენდა. იგი კრებამ ერესში ამხილა, განსაჯა და განკვეთა. ალექსანდრიული იდეების მქონე და მისმა მიმდევარმა ეკლესიებმა – ეგვიპტის, იერუსალიმის, რომის საპატრიარქოებმა 448 საეკლესიო კრების გადაწყვეტილებები არ გაიზიარეს და არ მიიღეს. 449 წელს ეფესოში მოწვეულ იქნა საეკლესიო კრება, რომელიც მსოფლიო ეკლესიის ისტორიაში „ყაჩაღთა კრების" სახელითაა ცნობილი. V საუკუნის 30-იან წლებში მიღწეულ ერთიანობას, უნიას, ანტიოქიურ-კონსტანტინოპოლურ და ალექსანდრიულ მიმართულებებს, საფრთხე დაემუქრა. უნიას ძლიერი მოწინააღმდეგე გამოუჩნდა, მას დაუპირისპირდა ალექსანდრიის მაშინდელი პატრიარქი დიოსკორე, რომელიც ანტიმართლმადიდებლურ მიმართულებას მეთაურობდა. იგი თავისი წინამორბედი პატრიარქის წმ. კირილეს მოწინააღმდეგე აღმოჩნდა და უნიის მიმართ მტრული დამოკიდებულება გამოამჟღავნა. დიოსკორე გამოკვეთილი მონოფიზიტი იყო და იზიარებდა ევტიქის შეხედულებებს. დოკუმენტების მიხედვით, ფაქტობრივად, მონოფიზიტურ მოძრაობას დიოსკორე ხელმძღვანელობდა, მათ შორის, ევტიქის ქმედებებსაც იგი წარმართავდა. ეკლესიის ისტორიკოსები ამ კრებას მესამე მსოფლიო საეკლესიო კრების პაროდიას

უწოდებდნენ. ალექსანდრიული სკოლის წარმომადგენლები, წმ. კირილეს შემდგომი მოღვაწეები, აღიარებდნენ მხოლოდ ნიკეის სიმბოლოს, ხოლო მომდევნო ორი მსოფლიო საეკლესიო კრების სიმბოლოები მიუღებლად მიაჩნდათ. „ყაჩაღთა კრებამ“ შეაჩვენა კონსტანტინოპოლელი პატრიარქი ფლავიანე, ევსევი, ანტიოქიის პატრიარქი დომნი, ტირის ეპისკოპოსი ირინეოსი, წმ. თეოდორიტე კვირელი, ივა ედესელი, ყველა ის პირი, ვინც უნიასა და ანტიოქიურ საღვთისმეტყველო მიმართულებას უკავშირდებოდა ან თანაუგრძნობდა. ამ კრებაზე განსაკუთრებული სისასტიკით გამოირჩეოდა დიოსკორე.

სულ მალე, ამ კრებიდან ორი წლის შემდეგ, 451 წელს იმპერატორ მარკიანეს თანხმობითა და უნიის მომხრე მღვდელმთავართა ინიციატივით ქალკედონში მოწვეულ იქნა მეოთხე მსოფლიო საეკლესიო კრება, რომელზეც ორი მიმართულება იბრძოდა, ეროი მხრივ, ანატოლი კონსტანტინოპოლელის, მეორე მხრივ, დიოსკორეს მეთაურობით. კრებამ დაგმო „ყაჩაღთა კრების“ გადაწყვეტილებები. ერეტიკოსებმა მარცხი იწვნიეს, თუმცა ისინი მაინც აქტიურ წინააღმდეგობას უწევდნენ დიოფიზიტებს. საბოლოოდ კრებამ აღიარა მაცხოვრის ორბუნებოვნება, ანუ კანონიკურად ცნო დიოფიზიტობა და, შესაბამისად, უარყო მონოფიზიტობა, რომელიც დიოფიზიტურ თვალსაზრისს – მაცხოვრის ორბუნებოვნებას – ეჭვქვეშ აყენებდა. ამ კრებამ აღადგინა იმ პირთა პატივი, რომლებსაც დიოსკორემ აჰყარა (5; 6; 7, 156-160; 307).

არსენ ბულმაისიმისძე გმობს ასევე ყველაზე გამოკვეთილ ხატმებრძოლს, ბიზანტიის იმპერატორს კონსტანტინე მეხუთეს, ლეონ ისავრიელის ძეს, რომელიც კოპრონიმის სახელით მოიხსენიება საისტორიო წყაროებში (კოპრონიმი სკორის მოსახელეს ნიშნავს): „მეხდატეხით დაიწვნ კონსტანტინე სახელხენეში და ბილწნი ბანაკითურთ, რომელმამცა აღაღო ჯოჯოხეთი პირი თჳსი განგმობად, უხრწნელსა ხატსა ზედა ქრისტესსა და ღმრთისმშობელისა წმიდათასა თანა, რამეთუ მოძღურებად ქრისტესი დათრგუნა“ (2, 322). კონსტანტინე მეხუთე ხატთაყვანისმცემელთა მიმართ განსაკუთრებული სისასტიკით გამოირჩეოდა.

მან 754 წელს მოიწვია საეკლესიო კრება, რომელსაც 338 სასულიერო პირი ესწრებოდა. კრებამ დაგმო ხატთაყვანისმცემლობა. კონსტანტინე სახელხენეშმა დახურა ეკლესია-მონასტრები, მიითვისა მათი ქონება, ებრძოდა ბერ-მონაზვნებს, შემწყნარებლობას იჩენდა მწვალებელთა მიმართ. მან კრებას VII მსოფლიო საეკლესიო კრება უწოდა, რომლის გადაწყვეტილებები საგანგებოდ განიხილა 787 წლის ნამდვილმა VII მსოფლიო საეკლესიო კრებამ, დაგმო ისინი და აღადგინა ხატთაყვანისმცემლობა. არსენმა ახსენა მეშვიდე მსოფლიო საეკლესიო კრება და მისი ერთ-ერთი მთავარი, აქტიური მონაწილე, ფაქტობრივად, კრების მოწვევის ინიციატორი ირინე დედოფალთან ერთად, კონსტანტინოპოლის პატრიარქი ტარასი; ჰიმნოგრაფი ახსენებს აგრეთვე რომის პაპს ადრიანეს; სწორედ ამ ორი წმიდა მამის ძალისხმევითა და ირინე დედოფლის მხარდაჭერით აღდგა ხატთაყვანისცემა: „მკკდროვნისა ყოველ მსოფლიომან კრებამან დიდგონებათა მამათა დიდებულმან პაპმან ანდრიან და ტარასი ნეტართა დაამტკიცეს, ცეს წმიდათა ხატთა პატივი და შეჩუენებასა მისცნეს თეოდოსი და სისინი სხუათა თან ზრახვათა მათთა“ (2, 322). ტარასი საერო პირი იყო, რომელსაც სახელმწიფო მდივნის თანამდებობა ეკავა ირინეს დედოფლობის დასაწყისში. იგი ყოფილა უგანათლებულესი პიროვნება, პატრიარქობას დასთანხმდა იმ პირობით, თუ ხატთაყვანისმცემლობა აღდგებოდა და საამისოდ მოაწვევინა კიდეც მსოფლიო საეკლესიო კრება. ტარასი პატრიარქად უკურთხებიათ 784 წლის ქრისტესშობის დღეს. 787 წელს ნიკეაში მიმდინარე მეშვიდე მსოფლიო საეკლესიო კრებას თავმჯდომარეობდა და წარმართავდა პატრიარქი ტარასი, რომელსაც ეს თანამდებობა სჭერია 806 წლამდე. კრებას მხარს უჭერდა რომის პაპი ადრიანე პირველი (772-795) (5; 6; 7). მართალია, კრებამ აღადგინა ხატთაყვანისცემა, მაგრამ საბოლოო გამარჯვებამდე კიდევ ნახევარ საუკუნეზე მეტმა განვლო. ხატმებრძოლები რელიგიურ სიწმინდეებს, ხატებს, ფრესკებს, საზოგადოდ, რელიგიურ ხელოვნებას, უმაქნისსა და უწმინდურს უწოდებდნენ. ხატთაყვანისმცემელთა შეხედულებით, ქრისტიანულ ხელოვნებას უდიდესი სულიერი მისია

ეკისრებოდა, რადგან მას შეეძლო რელიგიასთან მჭიდრო კონტაქტი ჰქონოდა. ეს უნდა ყოფილიყო მიზეზი იმისა, რომ ხატთაყვანისმცემლობის საბოლოო აღდგენის შემდეგ (843) კვლავ აღორძინდა და განვითარდა მონუმენტური და დაზგური ფერწერა. აქტიურად შემოვიდა ხელთუქმნელი ხატის თემა, რომელიც ქრისტიანობის გავრცელების პირველსავე საუკუნეში არსებობდა.

არსენ ბულმაისიმისძემ ზემოთ მოტანილ ტროპარში შეაჩვენა თეოდოსი და სისინი, როგორც ორთოდოქსული ქრისტიანული რელიგიის მოწინააღმდეგენი. ამიტომაც წერდა: „ჲ ქრისტე, შენდა ღმრთად ჭეშმარიტად, ხოლო ხატისა პირისა შენისასა მგმობარნი შეაჩუენენ ბილწნი და ეშმაკსა მისცენ და მოსრენ ბანაკითურთ და საუკუნოდთა მით ცეცხლითა განაქარვე ყოვლად ულხინებელად“ (2, 325).

არსენ ბულმაისიმისძემ მაცხოვრის ხელთუქმნელი ხატისადმი მიძღვნილ საგალობლებში წარმოაჩინა მართლმადიდებლური ქრისტიანული რელიგიის ბრძოლა თვითდამკვიდრებისათვის. მან დაგმო ყოველგვარი ერესი, კერძოდ, იგი შეეხო და დაგმო მონოფიზიტობა და ხატმებრძოლობა. მნიშვნელოვანი სწორედ ისაა, რომ ეს პრობლემა დასმული იყო მაცხოვრის ხელთუქმნელი ხატისადმი მიძღვნილ საგალობლებში. საგულისხმოა ისიც, რომ ჰიმნოგრაფიამ შეიმუშავა შესაფერისი სტილი და ლექსიკა არამართლმადიდებლური რელიგიებისა და მწვალებლების სამხელად.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ საზოგადოდ, ქართულმა ჰიმნოგრაფიამ, ბიზანტიურის კვალობაზე, არეკლა პოლემიკური თემატიკა, რასაც უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა მართლმადიდებლობის განსამტკიცებლად. პრობლემა განსაკუთრებით აქტუალურად გვესახება თანამედროვე საქართველოს სულიერი ცხოვრების ფონზე, როდესაც ასე მოძალებულნი არიან სხვადასხვა ტიპის ერესები. ამიტომ ჩვენს წინაპართა მკვეთრი, შეუვალი დამოკიდებულება მათ მიმართ მაგალითად მიგვაჩნია, რამაც ხელი უნდა შეუწყოს მართლმადიდებლობის განმტკიცებას ჩვენს ცხოვრებაში.

N. SULAVA

POLEMIC FLOW IN THE GEORGIAN HYMNOGRAPHY OF THE XII-XIIITH CENTURIES

In Georgia, as well as in other Christian countries, Christianity have to permanently struggle with other religions on the bases of which has been formed one of the main trends of the theological literature – polemics. The polemic flow is noticeable in all the spheres of the theological literature. The aim of our article is analyses and interpretation of the polemic theme existing in the Georgian Hymnography, clarifying the historical experience, the aim of its reflection and its place in the Georgian hymns. The problem is equally interesting for the different civilizations and religions. Now, at the background of the globalization and rapid processes of the rapprochement of the countries is no longer a problem of only one country and one religion. Thus, we consider actual analyses of the polemic flow in the hymns, as the perish listened to the hymns in the Cathedrals the text of which influenced the listener. Arising out of this fact the hymns had the educational and rearing function.

The Georgian hymnography reflected the polemic motives, blamed the personalities and trends, which put under the suspicion the main dogmas of Christianity its statements and views. From this aspect the Hymnography opuses of the XII-XIIIth centuries appeared to be very rich. In them were picked out several main directions: Struggle against the early disseminators of Christianity - namely the monophisites and iconoclasts. The problem was the dual nature of the Savior and the motherhood of the Saint Mary.

The polemic motives were reflected in the hymns by Ioane Ancheli, Ioane Shavteli and Arsen Bulmaisimisdze. The polemics concerned the matters of the Christian dogmatic.

In the hymns by Arsen Bulmaisimisdze dedicated to the not of human making icon of the Savior are blamed the non-Orthodox views and the persons connected with it. First of all it concerned the betrayer of the Savior-Judas. In the hymns the reflection of the struggle against the iconoclasm is obvious. The hymnography showed in the hymn dedicated to the not of human making icon of the Savior struggle of the Orthodox Christian religion for its self - assertion. It blamed all

the heresy, and namely monophisitism, iconoclasm. The main thing is that this problem was posed in the hymn dedicated to Savior. It is significant, that the hymnography worked out the appropriate style and lexis for revealing the non-orthodox religions and pageantry.

The polemic theme reflected in the Georgian hymnography is significant from the aspect of strengthening of the Orthodox religion. The problems are especially actual at the background of the modern spiritual life of Georgia, when different types of heresy are so strong. That's why we consider the good example the intolerant attitude of our ancestors towards them and this will support the strengthening of the orthodox religion in our lives.

დამოწმებული წყაროები და ლიტერატურა:

1. ახალი აღთქუმაჲ, წმ. გიორგი მთაწმიდლის რედაქციით, საქართველოს საპატრიარქოს გამოცემა, თბ., 1995.
2. სულავა ნ. XII-XIII საუკუნეების ქართული ჰიმნოგრაფია, თბ., 2003.
3. ფსალმუნნი, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა მზექალა შანიძემ, თბ., 1961.
4. ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, II, დასაბეჭდად მოამზადეს ილ. აბულაძემ, ნ. ათანელიშვილმა, ნ. გოგუაძემ, ლ. ქაჯაიამ, ც. ქურციკიძემ, ილია აბულაძის ხელმძღვანელობითა და რედაქციით, თბ., 1967.
5. Лебедев А. П. Вселенские соборы, т. Ш, 1896. т. 4, 1904.
6. Поснов М.Э. История христианской церкви, Киев, 1991.
7. Тальберг Н. История христианской церкви, Москва-Нью-Йорк, 1991.